მოგზაურობა საქართველოში

სამეგრელო

გზა ბათუმიდან ფოთამდე

ლაშა და გიორგი სამეგრელოში მიდიან მეგობრებთან ერთად: ლალი და მირანდა ბიჭების ახალი მეგობრები არიან. გოგოები ბიჭებთან ბათუმის ბანაკში დამეგობრდნენ.

ლალი ფოთელია. მისი მამა, ბატონი გივი, ფოთის პორტის[1] დირექტორია. ლალიმ დაპატიჟა ბიჭები სამეგრელოში.

ლალის დედა, ლია დეიდა, მანქანით წაიყვანს ფოთში ყველას. ლია დეიდა ჯვარიდანაა. ეს ის დაბაა, რომელთანაც ენგურის ცნობილი კაშხალია აშენებული. ბიჭებს ძალიან უნდათ მსოფლიოში ცნობილი ამ კაშხლის ნახვა! ლია დეიდა მათ ენგურის კაშხლისა[2] და წყალსაცავის[3] დათვალიერებას დაჰპირდა!

სურათი #1. ენგურის კაშხალი და წყალსაცავი

დილით ადრე წავიდნენ. ფოთისკენ გზა პალიასტომის ტბას გაივლის. იქ არის კოლხეთის ეროვნული პარკიც.

ლაშამ და გიორგიმ იციან, რომ გზაში არ მოიწყენენ. ლია დეიდა ისტორიკოსია, მისგან ბიჭებმა ბევრი რამე გაიგეს. ლია დეიდამ უთხრა მათ, რომ სამეგრელო უძველესი კოლხეთის მემკვიდრეა. კოლხეთის სამეფო პირველი ქართული სახელმწიფო იყო. კოლხეთს მთელი მსოფლიო იცნობს არგონავტების მითით[4]: არგონავტები იყვნენ

---

[1]**პორტი** -გემების გასაჩერებელი ნაგებობა ზღვის სანაპიროზე.

[2]**კაშხალი** - ქვის ან ბეტონისგან აშენებული ნაგებობა. კაშხალი გზას უღობავს მდინარეს და ამაღლებს წყლის დონეს.

[3]**წყალსაცავი** - წყლის შესაგროვებლად და შესანახად აშენებული ნაგებობა.

[4]**მითი** - უძველესი თქმულება.

ბერძენი გმირები. მათ იასონის მეთაურობით კოლხეთში იმოგზაურეს და ოქროს საწმისი მოიპოვეს.[5]

- რა საინტერესოა! - დაფიქრებული ამბობს გიორგი, - არგონავტები კი ვიცი, მაგრამ კარგად არ მახსოვს ოქროს საწმისის ამბავი...

- მე მოვყვები, მე! - წამოიძახა მირანდამ, - ახლახან წავიკითხე მითი არგონავტების შესახებ, ძალიან მომეწონა!

სურათი #2. ძველი კოლხეთის რუკა

უძველეს დროში საბერძნეთში ცხოვრობდა გმირი იასონი. მას ბიძამ კოლხეთიდან ოქროს საწმისის ჩამოტანა დაავალა. ოქროს საწმისი ოქროთი დაფარული ცხვრის ტყავს ერქვა. ამ ტყავს ძლიერება და ბედნიერება მოჰქონდა პატრონისთვის.

იასონმა შორეული მოგზაურობისთვის მთელი საბერძნეთიდან მოიწვია ბერძენი გმირები. ისინი ზღვით გაემგზავრნენ კოლხეთში. ბერძნების გემის სახელი იყო „არგო“, ამიტომ გმირებს არგონავტები დაარქვეს.

უამრავი თავგადასავლის შემდეგ არგონავტებმა მიაღწიეს კოლხეთის მდინარე ფაზისს. გემი ნაპირთან დატოვეს, თვითონ კი ფეხით წავიდნენ კოლხეთის მეფე აიეტის სასახლისკენ, ქალაქ კუტაიაში[6].

მეფე აიეტმა რთული დავალება მისცა იასონს: გმირმა უნდა დაამარცხოს საშინელი დრაკონი, რომელიც ოქროს საწმისს იცავს.

მეორე დღეს იასონმა დრაკონი დაამარცხა და ოქროს საწმისი აიღო. მას დაეხმარა აიეტის ქალიშვილი - მედეა: მან იასონს ჯადოსნური წამალი მისცა. იასონმა ეს წამალი ტანზე წაისვა და ღონე მოემატა. ბერძენ გმირს ძალიან მოეწონა აიეტის ქალიშვილი:

- ჩემს სამშობლოში წაგიყვან და ცოლად შეგირთავ - უთხრა მან მედეას.

---

[5] **მოიპოვეს** - ხელში ჩაიგდეს.

[6] **კუტაია** - დღევანდელი ქუთაისი.

მეფე აიეტი ძალიან გაბრაზდა იასონსა და მედეაზე და თავის ჯარს უბრძანა მათი დასჯა.

სურათი #3. იასონი იპარაცს ოქროს საწმისს

არგონავტებმა შეძლეს გაქცევა. მათ მრავალი წელი იცურეს საბერძნეთამდე და გამარჯვებულები დაბრუნდნენ სამშობლოში, თან ჩაიტანეს ოქროს საწმისი.

სურათი #4. მედეას ქანდაკება ბათუმში



- ძალიან საინტერესო ისტორიაა! - თქვა გიორგიმ, - ნეტავ, ყველაფერი მოგონილია ამ მითში თუ მართლა იმოგზაურეს ბერძნებმა საქართველოში?

- მითებში ყოველთვის არის ისტორიული სიმართლე! - თქვა ლია დეიდამ.

- იასონის და მედეას ამბავიც მართალი იქნება! - ამბობს გიორგი.

მარჯვნივ გამოჩნდა უზარმაზარი[7] ტბა. ის პატარა არხით[8] უერთდება ზღვას.

სურათი #5. პალიასტომის ტბა

- აი, პალიასტომის ტბა! - ამბობს ლია დეიდა, - პალიასტომის ტბა კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზეა; პარკში არის უძველესი პერიოდის, უნიკალური[9] ცხოველები და მცენარეებიც. მათ დაცვაზე პარკის თანამშრომლები ზრუნავენ. კოლხეთის

[7] **უზარმაზარი** - ძალიან დიდი.
[8] **არხი** - მიწაში გათხრილი წყლის გამტარი. მასში მიედინება წყალი.
[9] **უნიკალური** - გამორჩეული, ძალიან იშვიათი.

პარკში განსაკუთრებით საინტერესოა პალიასტომის ტბა, ჭაობები[10] და კოლხური ტყე.

- ეჰ, კარგი იქნება კოლხეთის ეროვნული პარკის დათვალიერება, მაგრამ დრო არ გვაქვს! - ამბობს ლაშა.

- მე მგონია, სამეგრელო თქვენ ძალიან მოგეწონებათ და კიდევ ბევრჯერ ჩამოხვალთ აქ! - იღიმება მირანდა.

- ჰოდა, აუცილებლად დავათვალიერებთ პალიასტომის ტბას და კოლხეთის ეროვნულ პარკს! - გაუხარდათ ბიჭებს.

სურათი #6. კოლხეთის ჭაობი

სურათი #7. კოლხური ტყე

ფოთი - ისტორია და თანამედროვეობა

- აი, ფოთში შემოვედით! - თქვა ლია დეიდამ - ფოთის ისტორიაზეც მოგიყვებით, ბიჭებო...

სურათი #8. ქალაქი ფოთი



დღევანდელი ფოთის ტერიტორიაზე საქართველოს უძველესი ქალაქი ფაზისი იყო გაშენებული. სწორედ აქ გადმოვიდნენ არგონავტები ნაპირზე.

ქალაქ ფოთის განვითარებაზე ძალიან ბევრი იზრუნა **ნიკო ნიკოლაძემ** - ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ.

[10] **ჭაობი** - ძალიან წყლიანი, წყლით სავსე მიწა.

ნიკო ნიკოლაძე ოცი წელი მუშაობდა ფოთში - ის ქალაქის მერი იყო 1894 წლიდან 1914 წლამდე. ამ პერიოდში ფოთი ძალიან განვითარდა: აშენდა პორტი, ელექტროსადგური, მუზეუმი, საკათედრო ტაძარი, სკოლები და ხიდები. ქალაქში გაიყვანეს სატელეფონო ქსელი და ამუშავდა საქალაქო ტრანსპორტი.



ნიკო ნიკოლაძემ ქვეყნისთვის კიდევ ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა. მან და მისმა მეგობრებმა შექმნეს პირველი ქართული ბანკი, რეგიონებში გაიყვანეს რკინიგზა...

სურათი #9. ნიკო ნიკოლაძე

– დღეს ფოთის საზღვაო პორტი უდიდესია საქართველოში. მისი დირექტორი ლალის მამაა. ის ბევრ რამეს მოგიყვებათ ფოთის პორტის შესახებ.

მალე ლალის სახლში მივიდნენ. ლალის მამა, გივი ბიძია, სახლში ელოდებოდა ძვირფას სტუმრებს - ლაშას და გიორგის.

– ახლა ისაუზმეთ, ერთი საათი დაისვენეთ და წავიდეთ პორტში! - უთხრა სტუმრებს გაცნობის და მოკითხვის შემდეგ გივი ბიძიამ.

ნახევარ საათში ბიჭები მზად იყვნენ.

გივი ბიძიამ მანქანა დაქოქა და ღიმილით უთხრა ლალის:

- შენ დაიწყე მოყოლა, სანამ პორტამდე მივალთ!

- ლაშა, გიორგი, ფოთის პორტი ყველაზე დიდია საქართველოში და ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. აქ ღებულობენ სხვა ქვეყნებიდან ტვირთებს - საკვებს, მანქანებს, კომპიუტერებს, ტელეფონებს. აქედან გააქვთ უცხოეთში ქართული პროდუქტები: ღვინოები, სასმელი წყლები, ოქრო და მარგანეცი. ტვირთების რაოდენობა ყოველ წელს იზრდება. მათ ამწეებით ეზიდებიან. ფოთის პორტში ოცზე მეტი საპორტო ამწე მუშაობს - უყვებოდა ბიჭებს ლალი.

სურათი #10. ფოთის პორტი და ნავმისადგომი

ამასობაში გივი ბიძიას მანქანა პორტს მიუახლოვდა. მან სტუმრებს უთხრა:

- შემოდით, ბიჭებო! გაჩვენებთ, როგორ მუშაობს პორტი!

გივი ბიძია და მისი სტუმრები ნავმისადგომისკენ[11] გაემართნენ:

- ფოთის პორტი მთელი წლის განმავლობაში მუშაობს: აქ შემოდიან სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული გემები, აქედანვე გადიან საზღვარგარეთ მიმავალი გემები. ფოთის პორტიდან გადიან ბორნებიც[12]. მათ მგზავრები და მსუბუქი მანქანები გადაჰყავთ შავი ზღვის სხვა ქვეყნებში - უკრაინის, რუსეთის და ბულგარეთის პორტებში. ფოთის პორტში არის 17 კილომეტრის სიგრძის რკინიგზაც. რკინიგზა პორტს საქართველოს ქალაქებთან აკავშირებს.

სურათი #11. ბორანი

ჩვენს პორტში ყველანაირი თანამედროვე ტექნიკაა, ევროპის დონეზე გვაქვს ყველაფერი - ეუბნებოდა გივი ბიძია ბიჭებს.

ლაშას და გიორგის ძალიან მოეწონათ ფოთის პორტი. ბევრი რამ გაიგეს მის ისტორიაზე, ნახეს პორტის მუშაობაც.

ბიჭები პორტის ნახვით ძალიან კმაყოფილები დარჩნენ. ლალისთან და მირანდასთან ერთად ისინი ქალაქის ცენტრისკენ წავიდნენ. ქალაქის ღირსშესანიშნაობები[13] დაათვალიერეს. საკმაოდ დაიღალნენ დღეს...

საღამოს გივი ბიძია სამსახურიდან დაბრუნდა. სტუმრებმა და მასპინძლებმა ერთად ივახშმეს და დაიძინეს.

---

[11]**ნავმისადგომი** - გემების გასაჩერებელი ნაგებობა პორტში.

[12]**ბორანი** - პატარა გემი.

[13]**ღირშესანიშნაობა** - გამორჩეული ადგილი, შენობა.

უძველესი ციხეგოჯი

მეორე დილას 9 საათზე გააღვიძეს ბიჭები. ლაშა და გიორგი წამოხტნენ, ჩაიცვეს, სწრაფად ისაუზმეს და შემდეგ სენაკისკენ გზას გაუდგნენ[14].

40 წუთში უკვე სენაკში იყვნენ. ძალიან მოეწონათ გამწვანებული, მთაგორიანი პატარა ქალაქი.

- ლაშა, გიორგი, ძალიან გეჩქარებათ ზუგდიდში? - ეკითხება ლია დეიდა ბიჭებს, - ერთი კარგი წინადადება მაქვს და, მგონი, მოგეწონებათ!

- რა წინადადება?

- ჩემი მშობლები მარტვილიდან არიან. დიდი ხანია, აღარ მინახავს და ლალისაც მოენატრებოდა ბებია-ბაბუა... მოდით, შევუაროთ... ამასობაში სადილის დროც მოვა და აქვე ვისადილოთ... რაც მთავარია, გზაში საოცარ ადგილებს გაჩვენებთ!

სურათი #13. ციხეგოჯი

- რა ადგილებს? - დაინტერესდნენ ბიჭები.

- ციხეგოჯი იცით, რა არის?

- კი, როგორ არა! სამეგრელოს უძველესი ციხე-ქალაქია! - წამოიძახა გიორგიმ.

სენაკიდან ციხეგოჯამდე სულ 15 წუთის გზაა. მირანდამ ციხეგოჯის შესახებ დაიწყო საუბარი:

- ციხეგოჯის მეორე სახელია ნოქალაქევი, მას ბერძნები არქეოპოლისსაც ეძახდნენ. ეს ციხე-ქალაქი[15] ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ისტორიული ძეგლია.

ციხეგოჯი მდინარე ტეხურის მარცხენა სანაპიროზე დგას. მდინარე ქალაქს სამი მხრიდან აკრავს. ქალაქი სამი ნაწილისგან შედგებოდა: ქვედა ქალაქი, შუა ციხე და კოშკი[16].

---

[14]**გზას გაუდგნენ** - წავიდნენ.
[15]**ციხე-ქალაქი** - ქალაქი, რომელსაც გარშემო შემოვლებული აქვს მაღალი გალავანი.
[16]**კოშკი** - მტრებისგან თავდასაცავი ვიწრო და მაღალი ნაგებობა.

ციხეგოჯის ტერიტორიაზე ლაშამ და გიორგიმ ნახეს სასახლეები, ქრისტიანული ტაძრები, აბანოები, წყალსაცავი, გვირაბი და სხვა ნაგებობები.

სურათი #14. ფირნიში

- ულამაზესი ადგილია! შესანიშნავი ბუნება, გიგანტური[17] კედლები, სიძველე - ყველგან სიძველე! - ამბობდნენ ბიჭები.

ციხეგოჯში საათზე მეტი ხანი დარჩნენ... მოიარეს მთელი ციხე-ქალაქი, ჩავიდნენ გვირაბში და მდინარის ნაპირიდანაც ახედეს ციხეს... ბევრი ირბინეს და ითამაშეს.

- ბიჭებო, გოგოებო, ვიცი, ძალიან მოგშივდათ. ახლა ჩვენ სულ 20 წუთი გვინდა მარტვილამდე... მე უკვე დავურეკე ჩემს მშობლებს და ცხელ ელარჯსაც სულ მალე გაგასინჯებთ!

სურათი #15. ელარჯი

ოც წუთში გამოჩნდა ფირნიში წარწერით „მარტვილი“. მალე ლალი საყვარელ ბებიას და ბაბუას ჩაეხუტა... ლია დეიდამ თავის მშობლებს სტუმრები გააცნო, ხელ-პირი უცებ დაიბანეს და ეზოში გაშლილ სუფრას მიუსხდნენ.

სურათი #16. გებჟალია

სუფრა მართლაც საოცარი იყო!

ბიჭებმა პირველად გასინჯეს ელარჯი. ეს კერძი სიმინდის ღერღილისგან[18] და სულგუნისგან მზადდება. სულგუნის გამო ელარჯი იწელება...

სასიამოვნო გემოთი და სურნელებით[19] გამოირჩევა გებჟალია. ლაშამ და გიორგიმ ეს უგემრიელესი კერძიც გასინჯეს. პიტნაში ამოზელილი სულგუნი, მართლაც საოცრებაა!

---

[17] **გიგანტური** - ძალიან დიდი, უზარმაზარი.
[18] **ღერღილი** - ძალიან მსხვილად დაფქული სიმინდის მარცვალი.
[19] **სურნელება** - სუნი.

მეგრული ცხელი კუჭმაჭი და ნიგვზიანი ხარჩო ბიჭებმა ფრთხილად გასინჯეს - მასპინძლებმა გააფრთხილეს, რომ ეს კერძები ცხარეა[20]...

ლაშას და გიორგის განსაკუთრებით მოეწონათ სულგუნი. მანამდე ეს ყველი არ ჰქონდათ გასინჯული.

სურათი #17. კუჭმაჭი



- ბავშვებო, ახლა ცოტა მოვისვენოთ და მერე გავიდეთ ქალაქის დასათვალიერებლად. საღამოს კი ზუგდიდში წავალთ!

ბიჭებს გაუხარდათ: მარტვილსაც დაათვალიერებენ და საღამოს უკვე ზუგდიდში იქნებიან!

ერთ საათში ლია დეიდა უკვე მზად დახვდათ მარტვილში გასასეირნებლად. ფეხით გაისეირნეს და დაინახეს მთის წვერზე აშენებული ლამაზი ტაძარი.

- ეს ჭყონდიდის - იგივე მარტვილის მონასტერია; იგი ქალაქ მარტვილის ცენტრთან ახლოს, მაღალ გორაზეა აშენებული. მონასტრიდან თითქმის მთელი იმერეთი და სამეგრელო მოჩანს.

სურათი #18. ჭყონდიდი

სახელწოდება ჭყონდიდი წარმოიშვა „დიდი ჭყონის“ - დიდი მუხისაგან. ადრე ამ მთაზე ბევრი „ჭყონის“ (მუხის) ხე იზრდებოდა. ამიტომაც დაერქვა ამ ადგილს „ჭყონდიდი“.

სურათი #19. მარტვილის საბაგირო გზა

ბიჭებმა იქვე რაღაც უცნაური შენობა დაინახეს.

- ეს რა არის?

- გაგიკვირდათ? - გაეცინა ლია დეიდას, - ეს მარტვილის საბაგირო გზაა!

[20]**ცხარე** - ის, რაც ჭამის დროს პირს წვავს (მაგ., წიწაკა).

საბაგირო გზა ქალაქ მარტვილის ცენტრშია. ის ქალაქ მარტვილს აკავშირებს ჭყონდიდის მონასტერთან.

მარტვილის საბაგირო აშენდა 1985 წელს. პროექტის ავტორია ვახტანგ ლეჟავა. საბაგირო გზაზე მოძრაობს 12 ადგილიანი ვაგონი. მგზავრობის დრო: 3 წთ. გზის სიგრძე: - 670 მეტრი ქვედა და ზედა სადგურებს შორის სიმაღლეთა შორის სხვაობა - 83 მეტრი

მოგზაურები სახლში დაბრუნდნენ. ლია დეიდამ მანქანა დაქოქა და ისევ სენაკისკენ გაეშურნენ.

- ზუგდიდამდე საათ-ნახევარი დაგვჭირდება; არ არის ძალიან შორს! - თქვა ლია დეიდამ.

მართლაც, საათ-ნახევარში ზუგდიდში, მირანდას ბიძის სახლთან გააჩერეს მანქანა და მასპინძლებმა ეზოში შეიპატიჟეს... ტრადიციული მეგრული სუფრა გაიშალა ტაბლაზე[21], ივახშმეს და დასაძინებლად წავიდნენ...

დილას კი - ახალი თავგადასავლები!

დადიანების სასახლიდან ენგურჰესის თაღოვან კაშხლამდე

სურათი #20. დადიანების სასახლე

მირანდას ბიძის სახლი ბოტანიკურ ბაღს გაჰყურებს. იქვე არის ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში შესასვლელიც. დილას ბიჭები დადიანების სასახლისკენ მიმავალ მოხრეშილ გზაზე მიდიან, მირანდა კი მათ ამ სასახლის ისტორიას უყვება:

- ზუგდიდი გამორჩეულია ლამაზი ბუნებით და კულტურული ძეგლებით. ზუგდიდის ყველაზე ცნობილი ღირსშესანიშნაობაა დადიანების სასახლე. აქ ცხოვრობდა დადიანების ოჯახი - ძველ

[21]**ტაბლა** - დაბალი პატარა მაგიდა.

სამეგრელოში ყველაზე ძლიერი და ცნობილი საგვარეულო[22]. სასახლის გარშემო დადიანების მიერ გაშენებული ბოტანიკური ბაღია.

დადიანების სასახლე დღეს სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმია. ის დაარსდა 1921 წელს.

მუზეუმის დათვალიერების შემდეგ ლალიმ და მირანდამ ბიჭები ბოტანიკურ ბაღში შეიყვანეს:

- ესეც ჩვენი ულამაზესი ბოტანიკური ბაღი! - ამბობს ლალი, -ახლა უნდა მოგიყვეთ ამ მშვენიერი ბაღის შექმნის ისტორია:

- ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი ეკატერინე ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით გაშენდა. ეკატერინე დავით დადიანის მეუღლე[23] იყო და ზუგდიდში უმშვენიერესი ბაღის მოწყობა გადაწყვიტა. მეუღლეზე შეყვარებულმა დავით დადიანმა 1840 წლიდან დაიწყო ამ ბაღის მშენებლობა.

ბაღში მრავალი სახეობის ხე, ბუჩქი და მცენარე იზრდება. ისინი აზიიდან, ევროპიდან, ამერიკიდან და სხვა ადგილებიდანაა შემოტანილი.

სურათი #21. ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი



ბიჭები კმაყოფილები არიან: აი, სამეგრელოს გამორჩეული ღირსშესანიშნაობა - დადიანების სასახლეც მოინახულეს... მალე ენგურჰესის უნიკალურ კაშხალსაც ნახავენ...

ლია დეიდა უკვე მანქანაში ელოდებათ. ჯვარი საკმაოდ მაღლაა - ზუგდიდიდან თითქმის 40 კილომეტრია. სულ აღმართია[24] - გზა ენგურის ხეობას მიუყვება ზემოთ, სვანეთისკენ...

მალე დაბა ჯვარში შევიდნენ. სულ რაღაც 5 კილომეტრში საოცარი სანახაობა გადაიშალა მათ თვალწინ...

- რა სილამაზეა! რამხელა კაშხალია! - აღტაცებულები არიან ბიჭები.

---

[22] **საგვარეულო** - ერთი გვარის ადამიანები.
[23] **მეუღლე** - ცოლი (ქმარი).
[24]**აღმართი** - მაღლა მიმავალი გზა.

- ენგურის კაშხალი და წყალსაცავი მდებარეობს წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ქალაქ ჯვართან, მდინარე ენგურზე, - დაიწყო მოყოლა მირანდამ, - წყალსაცავის სიგრძე 30 კილომეტრია; ჯვრის წყალსაცავი საქართველოს ყველაზე ღრმა წყალსაცავია - 226 მეტრია მისი სიღრმე!

ენგურის ჰიდროელექტროსადგური[25] უდიდესია სამხრეთ კავკასიაში[26]. შენდებოდა 1961-1978 წლებში.

სურათი #22. ენგურის

ბიჭები ძალიან კმაყოფილები და ბედნიერები არიან... ახლა მათ დედ-მამა ჩამოაკითხავს და ბიჭები სვანეთში წავლენ. მათ ხომ მთელი საქართველო უნდა მოიარონ!

აი, გზაზე ნოდარი ბიძიას მანქანაც გამოჩნდა. მანქანის ფანჯრიდან ლაშას და გიორგის დედა ხელს იქნევს - მოენატრა შვილები...

თვალზე ცრემლით ემშვიდობებიან გოგოები ლაშას და გიორგის. ნოდარი ბიძიამ მანქანა დაძრა და ბიჭებმა უკანასკნელად შეავლეს თვალი დიდებულ კაშხალს.

[25] **ჰიდროელექტროსადგური** - მდინარეზე აშენებული ნაგებობა. ჰიდროელექტროსადგურში წყლის ენერგიის გამოყენებით ღებულობენ ელექტროენერგიას.

[26] **სამხრეთი კავკასია** - კასპიის ზღვასა და შავს ზღვას შორის არსებული რეგიონი. ის მოიცავს საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ტერიტორიებს.